საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 31 12 თებერვალი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 12 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული №01/678 მომართვაზე (სარეგისტრაციო №42) - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106^1 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106^2 მუხლის მე-3 ნაწილის, 106^5 მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სენაკის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტზე –„სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”) მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება.

2. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2017 წლის 12 მარტამდე.

3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 22 თებერვლამდე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – დავით ხუხიას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს - ვეფხვია რუსიას.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი